

სამეტყველო კოდთა შერევა სახელურსა და ზმნურ შესიტყვებებში „აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი დავთრის“ მიხედვით

ავტორი: ციალა ბენდელიანი

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი, თამარ მეფის 59

ელფოსტა: ciala.bendeliani@gmail.com

ანოტაცია

ქართულ სამწიგნობრო ენას ისტორიულად საქართველოს დიალექტურ ზონებში უმაღლესი საფეხური ეჭირა, შემდეგ ფსევდოსალიტერატურო სამეტყველო კოდი იდგა, ხოლო ყველაზე დაბალ საფეხურს იკავებდნენ დიალექტური კოდები და მიკროკოდები. ასეთი რეალობა უნდა გვეჩინოდა ურბანულ ზონებშიც, როცა საქართველოში საფუძველი ჩაეყარა საქალაქო ცხოვრებას, განსაკუთრებით კლასიკური ძველი ქართულის შემდგომ ხანაში, როცა თანდათან რღვევას იწყებდა ძველი სამწიგნობრო ენის გრამატიკული ნორმები და ხალხური მეტყველება იპყრობდა უფრო ვრცელ ადგილს.

იმერეთში შედგენილ საეკლესიო საბუთებსა და ამავე მხარის ლაპიდარიუმში მოცემული მორფოლოგიური ფორმებისა და მორფოსინტაქსური კონსტრუქციების შედარება თანამედროვე დიალექტური კოდების მონაცემებთან, გვიჩვენებს როგორც განსხვავებებს, ისე მსგავსებასაც. სახელურსა და ზმნურ შესიტყვებებში გვხვდება არა მარტო ძველი ქართული სამწიგნობრო ენიდან მომდინარე მოვლენები, არამედ მოცემულია ახალი ქართულისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კავშირები, წარმოდგენილია ფსევდოსალიტერატურო და დიალექტური სიტყვათმეხამებები,

ასახულია თანადროული დიალექტებისთვის დამახასიათებელი მოვლენებიც; გვხვდება საეკლესიო ტექსტების სტილის დასაცავად გამოყენებული მორფოლოგიური ფორმები და ინვენტარი, ძველი ქართული გრაფემები, ხშირად მცდარადაც, შემდგენელთათვის უზუალური ფაქტები.

საკვანძო სიტყვები: სამეტყველო კოდთა იერარქია, სახელური და ზმნური შესიტყვება, დიალექტური კოდები მოზაიკურ სამეტყველო გარემოში.

შესავალი

XVI-XVII საუკუნეების ენა ქართულ ენათმეცნიერებაში ძირითადად საისტორიო, სამართლის და საეკლესიო საბუთების ენით არის წარმოდგენილი და შესწავლილი. კვლევა მორფოსინტაქსის თვალსაზრისით სპეციალურ ლიტერატურაში არ გვხვდება, თუმცა გარდამავალი პერიოდი ანუ ძველი ქართული ენის ნორმათა რღვევა და ახალ ფორმების წარმოქმნა შესწავლილია სინტაქსის თვალსაზრისითაც.

სამეტყველო კოდთა იერარქია შესანიშნავადაა ასახული სიგელ-გუჯრებსა და საეკლესიო დავთრებში, კერძოდ, დასავლურ (ქვემოიმერულ) სამეტყველო არეალში შედგენილ ამ სახის საბუთებში. ჩვენ თავის დროზე გაკვრით შევხებით XVII საუკუნის „ხონის საყდრის გამოსავალი დავთრის“ ენას (ბენდელიანი 2005: 95), ასეთივე დანიშნულების დავთარია „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი“ (XVI-XVII სს.) (აფხ. საკ. დავთ., 1914), რომელშიც ჩართულია ხონისა და მის მიმდებარე სოფელთა დავთრებიც. საბუთში გვხვდება ძვირფასი მასალა სამეტყველო კოდების შერევის შესახებ სამწიგნობრო ენის სასულიერო და საერო ვარიანტების თვალსაზრისითაც (ამ ვარიანტთა შესახებ იხ.: ბენდელიანი 2003: 58-59).

დავთრის გამომცემლის, ს. კაკაბაძის აზრით, „აფხაზეთის საკათალიკოზო დავთარი“ თითქმის საუკუნის განმავლობაში იწერებოდა, დაახლოებით 1545 წლიდან 1621 წლამდე, სხვადასხვა პირის მიერ, ხოლო ხონის დავთარი 1600 წლის

ახლო პერიოდს განეკუთვნება. ხონის გამოსავლის დავთარში მინაწერია: **ღმერთო, შეიწყალე ამისი დამწერი ბერი ბასილი** (აფხ. საკათ. დავთ., 1914, 45).

მოვალე გლახთა მოსაკრებლების დავთარში მოცემულია ძველი და ახალი ქართულის, საეკლესიო და საერო სტილის კუთვნილი სახელური და ზმნური შესიტყვებები, უმეტესად ორწევრიანი, მაგრამ არის სამწევრიანი და ოთხწევრიანი შესიტყვებებიც; წარმოდგენილია სამწიგნობრო და დიალექტური ნარევი სიტყვათშეხამებები, შესიტყვებები და კონსტრუქციები; მრავლად გვხვდება ფსევდოსალიტერატურო მიკროკოდები.

საერთოდ ძველი სხვადასხვა პირის მიერაა შედგენილი. იწყება რაჭის სოფელ ბართ, მოიცავს გაენათის, ზემო იმერეთის და მარტვილის სოფლების მოსაკრებლებს. როგორც ჩანს, მას ადგენდნენ სამწიგნობრო ენის მხოლოდ ფსევდოსალიტერატურო კოდის მცოდნე პირები. აშეიბზე მინაწერები აფხაზეთის კათალიკოსებსაც ეკუთვნით, ხოლო საბუთში არის მეფე ალექსანდრეს ბოძების ჩანაწერი, ბოლოს ვრცელი ტექსტი ეკუთვნის საერო პირს, მეფეთმეფე ბაგრატს. მათ ჩანაწერებშიც ასახულია გარდამავალი ხანის ნორმები, მაგრამ ძირითადად დაცულია იმდროინდელი სამწიგნობრო ენის გრამატიკული ფორმები, სინტაქსი და სტილი.

დავთარის შემდგენელთა შესახებ შეიძლება ითქვას, რომ სამწიგნობრო ენა და წერა-კითხვა, დაქარაგმება, სამწიგნობრო ენის ნორმები ნაკლებად იციან. დავთარი შედგენილია ნუსხა-ხუცურით, ნაწილი მხედრულით, ახალ ქართულზე გადმოტანილია გამომცემლის მიერ; წარმოდგენილია სიტყვების შემოკლებისა და დაქარაგმების, ასევე, ნარევი წესი, ქარაგმები ხშირად უმართებულოდაცაა.

რახან საკვლევ არეალში, ქვემოიმერულის გარდა, გვაქვს ოდესღაც მიგრირებული რაჭული სამეტყველო კოდის მორფოლოგიური ინვენტარი და შესიტყვებანი, გამოვყავით ძველი და ახლებური მასალა, საკუთრივ იმერული, ქვემოიმერული, რაჭული მორფოსინტაქსური შერევების ამსახველი მასალები.

ძირითადი ნაწილი

მოსაკრებლები ძირითადად მოვალე გლეხთა სიას, გადასახადის სახეებსა და რაოდენობას შეიცავს. მასში გაბმული ტექსტი არ გვხვდება, მაგრამ თვით ეს ჩამონათვალი და გადასახადის მოთხოვნა (**მართებს**) ქმნის საინტერესო სახელურსა და ზმნურ შესიტყვებებს, მათ განუზომელი მნიშვნელობა აქვთ საკვლევ არეალში სახელურ და ზმნურ შესიტყვებათა ისტორიული მორფოსინტაქსის თვალსაზრისით.

სახელური შესიტყვება. თანამედროვე დიალექტურსა და ფსევდოსალიტერატურო, აგრეთვე, სალიტერატურო ენაში არ გვხვდება პირთა სახელებისა და გვარების ანდა გვარებისა და სახელების დაკავშირებისას პირთა სახელების მიცემით ბრუნვაში ჩასმული ფორმები, ანუ სრული შეთანხმების ნიმუშები; არ გვხვდება ემფატიკური ა, დიალექტურ მეტყველებაში, განსაკუთრებით ქვემოიმერულის საკვლევ არეალში, ანუ სამეგრელოსპირა ზოლში; ხშირი არ არის სახელობით ბრუნვაში იოტი. ეს ყოველივე ნორმაა ამ დავთრების შემდგენელთათვის.

დავთარში გვხვდება სამი ტიპის სიტყვათშეხამება:

ა) როცა სახელი და გვარი ჩასმულია მიცემით ბრუნვაში ემფატიკური ხმოვნის გარეშე;

ბ) როცა ახლავს ემფატიკური ხმოვანი, ამასთანავე, მოცემულია პრეპოზიციური და პოსტპოზიციური წყობით: ჯერ სახელი და შემდეგ გვარი, ჯერ გვარი და შემდეგ სახელი, სრული შეთანხმებით, ორივე შემთხვევაში ორივე სახელი ჩასმულია მიცემით ბრუნვაში და აქვს ბრუნვის ნიშანი;

გ) როცა სახელი და გვარი ახალი ქართულის ნორმითაა ანუ წინამავალი საკუთარი სახელი არ იბრუნვის, იბრუნვის გვარი.

განვიხილავთ ცალ-ცალკე:

ა) ემფატიკური ხმოვნის გარეშე (მაგალითებში არ ვუთითებთ გადასახადის სახეობებს): მართებს ბარაბაძეს სანდელას; მართებს ღვთისავარას ბარაბაძეს; მართებს ნიკოლაოზს ბარაბაძეს; მართებს მ(ა)ხ(ა)რებ(ე)ლს ბარაბაძეს; მართებს გოგიჩას ბარაბაძეს, გიორგას ბარაბაძეს;

ბ) ემაფატიკური ხმოვნით წარმოდგენილია ასეთივე წყობით, მაგრამ უფრო იშვიათად: მართებს **ნასყიდას ბარაბაძესა**; მართებს **ადამიას მ(ა)მისთანასა**. სხვა ადგილზე არის სახელი **უმცროსა**, მომდევნო სტრიქონებზე გვარის გარეშე ჩამოთვლილი, შესაძლოა, კიდევ ორი ძმის გადასახადები: **სვიმონას მართებს**; **თამამას მართებს**; სხვა შემთხვევაშიც **უმცროსა** პირის საკუთარი სახელი ჩანს: მართებს **უმცროსას დოჭვირსა**; მართებს **უმცროსას ჩიმაგაძეს**.

ასევე, -ა ემაფატიკური ხმოვნითაა სხვა ადგილზეც: (მართებს) **დათილასა და ნასყიდასა**. ამჟამად ემაფატიკური ა- უცხოა საკვლევი ქვემოიმერული დიალექტური არეალისთვის, ის აღმოსავლურ დიალექტურ კოდად აღიქმება.

-ია-ზე დაბოლებულ სახელებს, ჩვეულებრივ, ერთვის მიცემითი ბრუნვის ნიშანი: მართებს **ბარაბაძეს ბიბიას**; მართებს **მუშიას ფიცხელაურს**; მართებს **ყატიას ღუძაძეს**.

დასაშვებია, **მუშია** პირის სამუშაოდ ამ მხარეში ყოფნას აღნიშნავს, თუ ამავე ფუძიდან არის ნაწარმოები პირის სახელი **მუშნი** < ***მუშა-ნ-ი**, მაგრამ არსებობს სხვა ახსნაც: ბზ. **მუ-შჷან**, ბქ. **მუ-შჷნ-ი**, **მუ-შჷან-ი** || **მუშნი** „სვანი“ (ჭუმბურიძე, 1987: 64). ცნობილია, რომ იმერეთის ბარის სოფლებში ადრეული პერიოდებიდანვე სამუშაოდ ჩამოდიოდნენ სვანები, უმეტესად საბარავად. ასე იყო გასული საუკუნის მეორე ნახევრამდე. ეს სიტყვა მართლაც **სვანს** უნდა ნიშნავდეს.

განყოფა/განაყოფ-ნ-ი ძეგლში წარმოდგენილია დიალექტური **განაყოფ-ენ-ის** სახით, შდრ. რაჭული -**ენ** სუფიქსით ნაწარმოები საგნებელი: **ლობჯანიძე** > **ლობჯანიძენი** (რ. თოფჩიშვილი), არის ქვემოიმერულშიც.

დავთრის ეს ნაწილი რომ იმერული დიალექტის წარმომადგენლის მიერაა შედგენილი, კარგად ჩანს აშიაზე მინაწერიდან: „...წამოდგენ მელაძენი და ასე დეიფიცეს ბიჭვინტის ღვთიმშობელზედ და სამსჭვალზედ, რომ, რომელიც მოშლილი არის, ეს გურიელმან კნიაზმან ამოგვიწერაო, ჩვენი ბრალი არ არის და ჩვენ დევთხოვეთ მას უკან“ (გვ.14) ეს მონაკვეთი ჩვენ გავმართეთ ორთოგრაფიულად, სასვენო ნიშნებით, გავხსენით ქარაგმები).

სინტაგმაში – წამოდგენ მელაპენი – მოცემულია დიალექტური ნორმა. გურიელმან კნიაზმან ძველი ქართულის ნორმითაა, სიტყვათა წყობა კი ახალი ქართულისაა. დიალექტური და სამწიგნობრო სინტაგმები ხშირადაა ერთად წარმოდგენილი.

დავთარში გვხვდება სამწევრა სიტყვათშეხამებაც: გ~ი ხუროძეს ხუცეს (მართებს). ბრუნვის ნიშნის დაკლება სამწიგნობრო ენის მცირედ ცოდნაზე მიუთითებს, თუმცა ამ პირის სახელი, განსხვავებით სხვა შემთხვევებისგან, ქარაგმითაა, მაგრამ ქარაგმიანი საკუთარი სახელით იწყება ხონის გამოსავალი დავთარიც: მართებს გ~ი მაჭარაძესა.

ემფატიკური ა-ს ასეთი სიხშირით გამოყენება სამწიგნობრო ენის გავლენად შეიძლება არ ჩაითვალოს, რადგან ემფატიკური ა-ს კლება სასულიერო ძეგლებში შეინიშნება ჯერ კიდევ X საუკუნეში, მაგალითად, ლატალის ლექციონარში (სარჯველაძე 1984: 372).

მოვიხმობთ მაგალითებს ემფატიკური ა-ს გამოყენების შესახებ XIII საუკუნის ძეგლებში. კერძოდ, ტბელ აბუსერისძის ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „ახალი სასწაულნი მთავარმოწამისა გიორგისნი“ და მოსე ხონელის საერო ძეგლში „ამირანდარეჯანიანი“ ასეთი ვითარებაა: ჰაგიოგრაფიულ ძეგლში ემფატიკური -ა გამოტოვებულია რამდენიმე ადგილას, მაგალითად, სასოებასა ღმრთისსა, სომხითისსა, ნივთისსა – არ ერთვის პირთა სახელებს. არის ორი გამონაკლისი და ისიც ისტორიულ ნაწილში, მაგალითად: ცაცაძასა, ხათუთაისაჲ, მაშინ როცა IX-XI საუკუნეთა ისტორიულ საბუთებში ემფატიკური ა საკუთარ სახელებთან ძალზე ხშირია. ძეგლის ავტორი ჰაგიოგრაფიულ ნაწილში საგანგებოდ იცავს კლასიკური ხანის ენობრივ ნორმას. ემფატიკური ხმოვანი ძალზე ხშირია „ამირანდარეჯანიანიში“: უთხრა ბადრსა, უსიბსა, ამირან დარეჯანისძესა. ემფატიკური ა-ს სიხშირე ყველაზე მეტად დაუცავს საერო ძეგლის XVI საუკუნის ხელნაწერს, რის გამოც მას „ანმეტ ხელნაწერსაც“ უწოდებენ (სოლ. ყუბანეიშვილი). როგორც ჩანს, ემფატიკური ა-ს სიხშირე ხაზს უსვამდა თხზულების საერო ხასიათს, სამეტყველო ენასთან სიახლოვეს (ბენდელიანი 2003:50).

გამოკვლეულია, რომ დასავლურ დიალექტებში (ქვემოიმერულში, გურულში, აჭარულში) ემფატიკური ა საყოველთაოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული სწორედ დავთრის შედგენის პერიოდში და ადრეულ ხანებშიც. შემდგომში ჩანს მისი გამოყენება შეზღუდული (ნოზაძე 1990: 24). ასე რომ, საერო ლიტერატურის ენაში ის სამეტყველო ენიდან არის გადასული. დავთრის შემდგენლებიც დიალექტური სამეტყველო კოდის ზეგავლენას განიცდიან. ამის გამო დავთარს შეიძლება „ანმეტი დავთარი“ ეწოდოს.

იმერულ ადრეულ და თანამედროვე დიალექტურ ტექსტებში ემფატიკური ა არც საკუთარ სახელებში და არც საზოგადო სახელებში არ გვხვდება. დავთრის ერთი ნაწილი რაჭაშია შედგენილი, რაჭულში კი ამ პერიოდში ემფატიკური ა-ს არსებობის შესახებ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში არაფერია აღნიშნული, მაგრამ შესაძლოა ამ დავთრებს იმერელი საეკლესიო მსახურები ადგენდნენ.

დავთარში გვხვდება ძველი ქართული და ახალწარმოქმნილი სიტყვათშეხამებანი:

გ) ახალწარმოქმნილია: მართებს დედულისა ტოხვისშვილს; შიომ ხუროძეს მართებს. ეს ფაქტიც სალიტერატურო და დიალექტური სამეტყველო კოდების შერევაზე მიუთითებს. პირის მეტსახელი უნდა იყოს წინადადებაში: მართებს კონტოეთს რუხვაძეს ბიჭიელსა გუგუტას; საკვლევ არეალში გვხვდება საშინაო სახელად ბიჭი. სამწევრიან შესიტყვებაში მხოლოდ პირის მეტსახელია ემფატიკური ხმოვნით, მაგრამ ბიჭი-ელ-ა კნინობითი ფორმაა თუ მეტსახელი, ძნელია თქმა.

ცალკე განხილვას იმსახურებს ცნება პარტახტის მნიშვნელობა, ეს სოციალური მოვლენა და მასთან დაკავშირებული ერთი ადგილი დავთარში: პარტახტი „უპატრონო მამული“, შდრ. სულხან-საბა: უნამუშავრო ოკერივით (ორბელიანი, 1965). ამჯერად შევეხებით მხოლოდ ენობრივ მხარეს: არის კუხელოური პარტახტი; არის ვაჭაროული პარტახტი; არის იანვარეი კაკაბაძის სეული პარტახტი; არის ძამიოური პარტახტი; არის სარიდოული პარტახტი; არის

წიმწივური პარტახტი; რაც ამ კაცებს მართებს, ისე ამ კაცების პარტახტსა მართებს, მაგრამ კაცი არ არის, ბახუა წივწივადე, მთავარეპისკოპოსსა ჰყავს (გვ.16).

მოცემული მონაკვეთი მრავალმხრივია საყურადღებო:

ა) -ურ სუფიქსის გამოყენების ის წესი, რომელიც ამ დავთარში გვხვდება, საკვლევი არეალის თავისებურებად ვერ ჩაითვლება, მასში უდავოდ რაჭულის თავისებურება ჩანს, რადგან ამ დავთრის დასაწყისი შედგენილია რაჭაში, სოფელ ბარში, შესაძლოა, რაჭველის მიერ, რომლისთვისაც უზუალური იყო -ურ სუფიქსის ასეთი წესით გამოყენება, ხოლო ხონისა და მისი სოფლების მოსაკრებლები შედგენილია იმერელი (ხონელი) შემდგენლის მიერ, რადგან ოფიციალურ მინაწერებშიც კი იმერული ფონეტიკური ვარიანტები გვხვდება. დავთარს სხვადასხვა პირი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას ადგენდა.

საკვლევი არეალში -ურ სუფიქსიანი მხოლოდ ერთადერთი გვარი **ძიძიგური** გვხვდება, მაგრამ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს გვარი ზანური წარმომავლობისაა და -ურ სუფიქსი შეიძლება არ გამოიყოს. გვარის ფუძე ნიშნავს **ძიძის გულს**, მეგრ. **გური** „გული“ (შ. ძიძიგური). ამჟამად ეს სუფიქსი ამ არეალში ადრეული რაჭველი მიგრანტების შემოტანილია და ერთვის გათხოვილ ქალთა მამისეულ გვარებს, ანალოგია -ხე სუფიქსისა. მასაც, -ხე სუფიქსის მსგავსად, შეძენილი აქვს დამატებითი ნიუანსები (ბენდელიანი 1997).

ბ) **კუხელოური** შესაძლოა აღნიშნავდეს ტოპონიმ **კუხიდან** წარმომავლობას, მაგრამ ამ მოსაზრებას დაბრკოლებაც ხვდება, რადგან **პარტახტი** არ შეიძლებაოდა კუთვნებოდა დაუკონკრეტებლად კუხელი წარმომავლობის პირს. ამ ტოპონიმის ამოსავალი ფუძეა მეგრ. **კუხ-** „უმწიფარი ყურძენი“, საიდანაც ისრიმი მზადდება, ეს ფუძე შედის გვარებში: **კუხ-ალ-ა-შვილი** || **კუხ-ალ-ეი-შვილი**, **კუხ-ი-შვილი**, **კუხ-ა-შვილი**, **კუხ-იან-ი-ძე**, ***კუხ-ილ-ა-ვ-ა/ქუხილავა** და სხვ. საბუთის შედგენის პერიოდში სავარაუდოა ამ გვარის მოსახლეობის ამ სოფელში ცხოვრება, მაგრამ საბუთის მონაცემის მიხედვით **კუხელოური** გვარი არის თუ არა, ძნელი სათქმელია.

სავარაუდოდ, გვარი გაფორმებული უნდა იყოს ქართული -ელ სუფიქსით, რომელსაც დართვია, ასევე, წარმომავლობის აღმნიშვნელი -ურ სუფიქსი.

გ) ამ მოსაზრებას რამდენადმე ამყარებს ის, რომ დანარჩენი, ასევე ნაწარმოები, მოვალეთა გვარებია: ვაჭარ-ოულ-ი < ვაჭარ-ა-ძე, კაკაბაძე, წიმწივ-ურ-ი > წივწივაძე; პირის სახელი იანვარეი (<*იანვარა-ი > იანვარ-ეი > იანვარ-ე). ასეთი წარმოება გვხვდება ძველ იმერულში. -ურ სუფიქსი რომ ნამდვილად წარმომავლობის აღმნიშვნელია, ამაზე მიუთითებს ის, რომ სეული ცალკე მდგომ სუფიქსად არის გამოყოფილი: კაკაბაძ-ის სეული, ნათესაობითის ნიშანთან შერწყმული -ეულ სუფიქსი სალიტერატურო ენაშიც გამოიყენება, აღნიშნავს საკუთრების წარმომავლობას, მაგრამ მიერთვის გვარს.

იმავე წესით ანუ ცალკე მდგომ სუფიქსად არის სეული გამოყენებული დავთრის სხვა ადგილებშიც, სადაც ის, ასევე, მიცემითისნიშნის სახელთანაა: მართებს მამისას სეულსა. მოვიხმობთ ამონარიდს სპეციალური გამოკვლევიდან: „რაც შეეხება სეულ-ს, სეულობა-ს, და სოულ-ს, სოულობა-ს – ეს სუბსტანტივი არის, აგრეთვე, იმერულში და არაერთგზის დასტურდება ისტორიულ დოკუმენტებში. იგი მოხვდა დიალექტურ ლექსიკონებშიაც“ (ჭინჭარაული, 1984, 284). აქ დამოწმებულია მონაცემები ალ. ლლონტის ლექსიკონიდან: სოულობა (იმერ. გურ), ნ. სოულეზიანი, სოულობიანი-ი (იმერ.) მემკვიდრეობის პატრონი, მდიდარი, ქონებიანი, მზითევიანი, მეცნიერი წერს: „ახლა ძნელია გაგება, მთხრობელი თუ დამწერი სეულ-ს და სოულ-ს წინამავალ სიტყვას აბამდა (ჯღენტისსოული) თუ ცალკე სიტყვად წარმოთქვამდა (ჯღენტის სოული). ამათ ხან ერთად ბეჭდავენ გამომცემელნი, ხან – ცალ-ცალკე, მაგრამ იმავე ძეგლებში დადასტურებული „სეულობა“ და „სოულობა“ იმაზე უნდა მეტყველებდნენ, რომ, სადაც ორი ს დასტურდება, იქ „სეული“ და „სოული“ უკვე სხვა სიტყვაა. იქაც, სადაც ერთი „სანია“, შეიძლება მეორის არქონა უბრალოდ დამწერის ბრალია და ცალკე უნდა გამოვყოთ სეული || სოული“ (იქვე).

დავთრიდანაც ჩანს, რომ სეული ცალკეა გამოყოფილი, როცა წინამავალი სიტყვა ს-ზე ბოლოვდება. ზემომოყვანილი მაგალითი ამის დასტურია. ამ

შემთხვევათა გამო ის გასუბსტანტივებულია, მოცემულია სახელისა და სახელის სიტყვათშეხამება. ეს სუფიქსი ახლაც არსებობს ქვემოიმერულში, წარმოითქმის სახელთან ერთად.

დავთრის ჩამონათვალში, კაკაბაძის გარდა, უნდა გვქონდეს მამაკაცის საკუთარი სახელები ან მეტსახელები, რომლებისგანაც შემდგომ ნაწარმოებია გვარები, მაგალითად: **კუხელი** (შდრ. სავ. სახ. თორელი), **ვაჭარა** (> **ვაჭარაძე**), **წიმწივა** (> **წივწივაძე**). ეს სახელები რომ ამ არეალის კუთვნილებაა, ადასტურებს ისიც, რომ ისინი გაფორმებულია იმერული ფონეტიკური ვარიანტით: სალიტ. **ა-ურ-ი**, დიალ. **ოულ-ი** (დისიმილაციით). ამჟამად კუთვნილების მითითებული წესით (ცალკე მდგომი **სეული/სოული**) აღნიშვნა საკვლევ არეალში გვხვდება, მაგრამ სახელთან ერთად წარმოითქმება.

რაჭული **-ურ** სუფიქსი მხოლოდ **-ხე** სუფიქსის ანალოგად არსებობს: **კობეშაური** > **კობეშოური**, მაგრამ არის სხვაგვარი წარმოებაც: **ჯობ-ი-ძე** > **ჯობ-ოურ-ა**. დავთრის მიხედვით **-ურ** სუფიქსი არის ზემო იმერულშიც: **სასახლე ნებიეროული** „ნებიერიძის სასახლე“. საერთოდ, ამ სუფიქსის დასავლურ სამეტყველო არეალში გავრცელებულობა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს (ო. კახაძე), რადგან ის მთის დიალექტებისთვისაა ისტორიულად დამახასიათებელი, მომდინარეობა ქართველურია, მაგრამ მხოლოდ მამრობითობის გამოსახატავად (ი. ჯავახიშვილი). **-ურ** ზემოიმერულშიც, რაჭულშიც და ქვემოიმერულშიც, სადაც ის შემონატანია, ამჟამად გათხოვილი ქალის მამისეულ გვარს ერთვის და წარმომავლობას აღნიშნავს. ამ ყოველივეს მიზეზი არის მიგრაციების დროს ასეთ „მოხეტიალე“ სუფიქსთა ფუნქციების რეინტერპრეტაცია, სხვა სუფიქსებთან ზედდება და ფუნქციათა ცვლილება.

ვაჭარაძე რომ ხონში გვარად გაფორმებულია ჯერ კიდევ XVI საუკუნის დასაწყისიდან, ჩანს „ხონის საყდრის გამოსავალ დავთარში“ (ხონის საყდრ. გამოს. დავთ., 1913): „ამას კიდე შემოგვიწირავს მეორე გლეხი კუხს გოგევეი ვაჭარაძე“, იმერულის ეურობის საფუძველზე მეგრული გვარი გოგავა ქცეულა გოგევად,

შესაძლოა, ანთროპონიმადაც (იხ. ბენდელიანი 2005: 95), დავთარში გვხვდება პირის სახელი და გვარი: **მიქელე გოგევა**. მოსაკრებლებში ხშირად მოვალე გლეხი შეყვანილია ორი გვარით, იმ პირის გვარით, ვის ნამოსახლზეც ცხოვრობს და თავისი საკუთარი გვარით.

ფაქტია, რომ ამ მონაცემების მიხედვით სახელურ შესიტყვებას ქმნის კუთვნილების აღმნიშვნელი სახელი სახელთან: **ვაჭაროული პარტახტი** (და მისთ.), რომელშიც ნათესაობით ბრუნვას ენაცვლება რთული სუფიქსი, იკარგება გვარის მაწარმოებელი **-ძე** სუფიქსი, რომლის შენარჩუნების შემთხვევაში გვექნებოდა სახელის მიერ მართული სახელი, გაბატონებული წევრი იქნებოდა **პარტახტი**. ასეთი ტიპის სახელური შესიტყვებები ისევ ნათესაობითბრუნვიანი მსაზღვრელის ნაირსახეობაა, სალიტერატურო **კაკაბაძისეული პარტახტი**-ს პარადიგმატური დიალექტური ვარიანტი.

საკვლევი არეალის მიხედვით (სოფელ მათხოჯისა და ხონის მოსაკრებლებში) უმეტესად გვხვდება **ორწევრიანი** და **სამწევრიანი შესიტყვებები**. ამათგან ორწევრიანებში დაცულია მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე გარდამავალი წესი, მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია, ხოლო საზღვრულს აქვს სახელობითი ბრუნვის ნიშნად იოტი:

ორწევრიანი შესიტყვებები: მართებს **ბარგის ზიდვამ, მგზავრობამ და წიგნის ზიდვამ, თიბვამ, ლაშქრობამ**, და მრ. მისთ. გასაზიარებელია აზრი, რომ ამ სახის სიტყვათშეხამებებში გვაქვს არა მართული მსაზღვრელ-საზღვრული, არამედ შეთანხმებული (თ. უთურგაიძე).

სამწევრიან შესიტყვებებში პირველსა და მეორე მსაზღვრელს სრულად აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი: **სამის თეთრის საბატკობო, ერთის თეთრის საყუჭლიერო** (ამ უკანასკნელში ე-ს მაგიერ გამოყენებულია ეი დიფთონგის აღმნიშვნელი გრაფემა, რაც ადრიდანვე გვხვდება, მაგალითად, XIII საუკუნის ტბელ აბუსერისძის ჰაგიოგრაფიული ძეგლის ისტორიულ ნაწილში (იხ. ბენდელიანი,

2003): ერთის თეთრის საყაჭობო, ათის თეთრის საკლავი, ერთის ბიშტის ყველი.

საინტერესოა ფორმა ბიშტი, შდრ. სულხან-საბა: ბისტი „ოთხი ფოლი“, ფული, ფიფანური: ბისტი(ა), ოთხი ფოლი/ფული (ორბელიანი, 1965, 1966). ფულის ეს სახელი ნასესხები ჩანს. ის იხსენიება მეგრულ სოფელთა მოსაკრებლებში, ამიტომ შეუძენია შიშინა ფონეტიკური ვარიანტი: ბიშტი, რომელიც ქვემოიმერულ დიალექტურ მეტყველებაში დარჩენილია ფრაზეოლოგიურ გამოთქმად: არაფერიც არ მიუციათ, მისცეს ბიშტი. ბიშტი ფერად შავი, სპილენძის, მცირე ღირებულების წვრილ ფულს აღნიშნავდა.

იმის გამო, რომ დავთრის სახელურ შესიტყვებაში მასობრივადაა მოცემული სახელისა და სახელის სიტყვათშეხამებაში სრული შეთანხმება, დავთარს შეიძლება „სან-მეტი“ დავთარი ვუწოდოთ.

თანამედროვე დიალექტური კოდები, რომლებიც საკვლევ სამეტყველო არეალშია, განსაკუთრებით ქვემოიმერული, ადიგენური მესხური, ქვემოიმერული ლეჩხუმური, სრულიად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ: მიცემითის -ს ნიშანი, ფაქტობრივად, დაკარგულია, ასევეა ნათესაობითის -ის ნიშნის -ს. იყო თუ არა ასეთივე ვითარება დავთრის შედგენის პერიოდში, ამის შესახებ დავთარი ცნობას არ იძლევა.

ჩვენს საკვლევ არეალში თანამედროვე დიალექტურ კოდებში მასობრივია მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა, ადიგენურ მესხურს, ქვემოიმერულ ლეჩხუმურს, სხალთისხეობურ აჭარულს იგი თავიანთ ისტორიულ საცხოვრისებშიც ახასიათებდათ, ლენტეხელ სვანთა ქვემოიმერულში ჩანს, ერთი მხრივ, ისტორიულ საცხოვრისში ლეჩხუმურის გავლენით, მეორე მხრივ, ქვემოიმერულის გავლენით მიგრაციის შემდგომ. ნათესაობითი ბრუნვის -ს თანხმოვნის დაკარგვა ახსნილია იმით, რომ ი ზმნაში სათავისო ქცევის ნიშანია და გამოხატავს კუთვნილებას, იგივე ოდენობაა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ი-ც, თანხმოვნითი ნაწილის დაკარგვით

კუთვნილების აღნიშვნა არ იკარგება (გ. როგავა), მაგალითად: დავდიოდით **ლიხეი ტბაზე**.

დავთარის მიხედვით, ძალზე გვიანამდე არის შემორჩენილი სახელობითი ბრუნვის ნიშნიანი მსაზღვრელი და საზღვრული: **ცხრაჲ მრთელი ღვინო, ერთი ურემი თივაჲ, ერთი კოკაჲ ღვინო**, მაგრამ სხვა ადგილზე გვხვდება ახალი ქართულის ნორმითაც: **ერთი კოკა ღვინო**. რიცხვითი სახელი მსაზღვრელად **ჲ** (იოტი) ნიშნით ზოგ შემთხვევაში ახლანდელ ქვემოიმერულ დიალექტურ კოდშიცაა შემონახული. იგი გვხვდება საკვლევ არეალში მიგრირებულ სხალთისხეობურ აჭარულში, ადიგენურ მესხურში, ქვემოიმერულ ლეჩხუმურში. შესაძლოა გამოვლენის სიხშირე დამოკიდებული იყოს ქვემოიმერულთან შერევაზე. **ჲ** (იოტი) ნიშანი რომ ძველი სამწიგნობრო ენის წესს არ ასახავს, ჩანს იქიდანაც, რომ წყობა ყოველთვის პრეპოზიციურია. ამის გარდა, დავთარში ძალზე ხშირია უადგილოდ **ჲ**-ს (იოტის) გამოყენების შემთხვევებიც: ბრაბამჲე (გვარი ბარაბამჲე), ბაიმზურიაჲ. მაშასადამე, მას „იოტი-მეტობაც“ ახასიათებს.

ზმნური შესიტყვება. დავთარში უმეტეს შემთხვევაში გვხვდება ერთი ზმნა **მართებს**, მაგრამ მასთან პირად შეწყობილი სახელები საინტერესო კონსტრუქციებსა და მათ ვარიანტებს ქმნიან. თანამედროვე დიალექტურ კოდებში ამ მხრივ ვითარებას გარკვეულწილად ვხვდებით ამ დავთარშიც, მაგრამ მას მაინც განსხვავებული მორფოსინტაქსი აქვს იმის გამო, რომ მასში ნორმათა სიჭრელეა: არის ძველი ქართულის ვითარებაც, გარდამავალი და დიალექტური ნორმებიც.

საკვლევ არეალის ამ პერიოდის დიალექტური ტექსტები არ მოგვეპოვება, მაგრამ ზემოგანხილული დავთარის მონაცემები, ასევე, იმერეთის მხარის ლაპიდარიუმის მონაცემები წარმოდგენას გვიქმნის სამწიგნობრო და დიალექტური კოდების შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნული მეგრულის გავლენა დასავლურ სამეტყველო კოდებზე ანუ სახელთა ბრუნების პარადიგმაში სახელობითი ბრუნვის ნიშნის გადაყოლა ნათესაობით ბრუნვაში (მაგალითად,

უთხარი ბავშვი-ს „ვუთხარი ბავშვს“), არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება დავთარში, იმ ნაწილშიც, რომელშიც მოცემულია სამეგრელოს სოფლების ნუსხები. ეს ვითარება გვაპარაუდებინებს, რომ XVI-XVII საუკუნეების ქართულში საკვლევი არეალის მიხედვით ეს მორფოსინტაქსური მოვლენა შესაძლოა არსებობდა, მაგრამ დიალექტური მეტყველების ფარგლებს არ სცილდებოდა, ვერ აღწევდა ფსევდოსამწიგნობრო კოდშიც. იგივე შეიძლება ითქვას ქვემოიმერულისა და მეგრულის გავრცელების არეალებში კვაზიერგატიული კონსტრუქციების შესახებაც, ან არსებობდა, მაგრამ დავთრის შემდგენლისთვის არ იყო უზუალური.

ზმნურ შესიტყვებაში გამოსაყოფია ისეთი სინტაგმები, რომლებშიც ჩანს ძველი ქართულის ნორმაც და ნორმათა რღვევაც. მათში მცირე გამონაკლისის გარდა, გვაქვს ზმნა **მართებს**. ამ შემთხვევებს განვიხილავთ ცალ-ცალკე:

ა) სახელი ემაფატიკური ხმოვნის გარეშე (მაგალითებში ყოველთვის არ ვუთითებთ გადასახადის სახეობებს): **მართებს ბარაბაძეს სანდელას ბარგის ზიდვამ; მართებს ღვთისავარას ბარაბაძეს; მართებს ნიკოლაოზს ბარაბაძეს; მართებს მ(ა)ხ(ა)რებ(ე)ლს ბარაბაძეს; მართებს გოგიჩას ბარაბაძეს, გიორგას ბარაბაძეს...**

ზმნა **მართებს** ობიექტური წყობისაა, მას სუბიექტური წყობის ფორმები არ გააჩნია: **მ-მართებ-ს, გ-მართებ-ს, მართებ-ს**; ამ შესიტყვებებში **grS** არის III პირის ნაცვალსახელი **ის**, პირის ნიშანიც წარმოდგენილია, მაგრამ ლოგიკური ანუ **RS** არის **მას**, ვისაც მართებს, ხოლო, რაც მართებს, ის რეალური ობიექტია, **RO**. ეს ზმნა პირველ სერიაშივე ინვერსიულია და დგება **მაქვს** ტიპის ზმნათა რიგში.

აკაკი შანიძის მიხედვით, ძველ ქართულში იყო: **თანა-მაც** (< **თანა მამს** = მმართებს), **თანამედვა** (= მემართა). აქედან ნაწარმოები იყო მიმლეობა: **თანა-მდები** (= მოვალე). დღეს აღარც პირიანი ფორმები იხმარება და აღარც უპირო, მაგრამ გვაქვს მიმლეობისგან ნაწარმოები **თანამდეობა** (შანიძე, 1980, 498). **მართებს** (< **მართ-**) ფორმა გვიანდელია. **მართ-** ძირისგან სხვადასხვა ფორმაა წარმოქმნილი, მაგრამ სავარაუდოა მისი წარმოება მიმლეობისგან **მართ-ებ-ულ-ი**, სემანტიკური კავშირით.

მართებს ზმნა ინვერსიულია, ძირითადი კოორდინატია ზმნა, **RS₃** (მას) დიდი კოორდინატი, ხოლო პირდაპირი ობიექტი – მცირე კოორდინატი. შესიტყვებაში სიტყვათა რიგი განსაზღვრულია ტექსტის სპეციფიკით.

მართვაც და შეთანხმებაც გვხვდება კოორდინაციულ დონეზეც: ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში და ითანხმებს რიცხვში. ეს სინტაქსური ურთიერთობა დაცულია. თავის მხრივ, სახელი მართავს ზმნას პირში. რახან **RS₃** პირის გვარ-სახელია, გატარებულია გარდამავალი ხანის ნორმა, სახელიცა და გვარიც მიცემითში დგას, ხოლო **RO₃** – სახელობითში: **მართებს ბარაბაძეს სანდელას ბარგის ზიდვამ**. ძველი ქართულის ნორმით სახელურ შესიტყვებაშიც უნდა გვექონდეს პოსტპოზიცია და ემფატიკური ხმოვანი: **ზიდვამ ბარგისა მართებს ბარაბაძესა სანდელას**. დავთარში არის ამის მაგალითებიც: **მართებს დათილასა და ნასყიდასა**.

ემფატიკური ხმოვნის ეს ფუნქცია, რომ დასრულებულად წარმოგვიდგინოს აზრი, ცხადად ჩანს ამ კონსტრუქციებშიც, თუმცა სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ასეთ ფუნქციას ემფატიკური ა ხმოვანი ნათესაობითბრუნვიან შესიტყვებაში ავლენს: გავხდი სკოლის ასაკისა. თუ ა არ ახლავს, გამონათქვამი თითქოს დაუმთავრებელია (გავხდი სკოლის ასაკის) და მსმენელი ელის, რომ საუბარი გრძელდება (ვ. თოფურიას მოსაზრებას ვიმოწმებთ: დავითიანი 1973: 280). ა-სა და -ი ემფატიკურ ხმოვნებს შეხამების დახშულობის უნარი აქვთ. დავთარში ამ მხრივ ძალზე საინტერესო ვითარებაა, მაგრამ წიგნურია ემფატიკური ხმოვანი თუ დიალექტური, ხშირად გარკვევა ჭირს, რადგან ის არსებობდა ამ პერიოდის სამწიგნობრო ენაშიც და დასავლურ რამდენიმე დიალექტში (ლ. ნოზაძე). საფიქრებელია, რომ იგი სამწიგნობრო ენაში მომდინარეობს დიალექტური მეტყველებიდან, მაგრამ საძიებელია, საიდან გავრცელდა ხალხურ მეტყველებაში. კახურში, სადაც ყველაზე მეტადაა ემფატიკური ხმოვანი, 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მიხედვით გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის სრული შეთანხმება: ვხლებივართ ნაჩალნიკს სპრაენიკს (ხ. ყანდაშვილი), შდრ. გ~ი ხუროძეს ხუცეს მართებს.

პრეპოზიციური წყობა გვხვდება XI საუკუნის ლაპიდარულ წარწერაში: „...თანადამიდგეს, ოდეს შენებაჲ დავიწყეთ...“ (სავანე, საჩხერე, 1046 წ.) (სალინაძე 2017: 302).

ბ) სახელი ემფატიკური ხმოვნით წარმოდგენილია პოსტპოზიციურად, ჯერ ზმნა, შემდეგ სახელები, მაგრამ იშვიათად: **მართებს ნასყიდას ბარაბაძესა; მართებს ადამიას მ(ა)მისთანასა; მართებს უმცროსას დოჭვირსა;** ასევე, იშვიათია გვარი ემფატიკური ხმოვნის გარეშე: **მართებს უმცროსას ჩიმაგაძეს;** ასეთ შესიტყვებებში, სავარაუდოდ, ემფატიკური ხმოვნის არსებობა და კლება შემდგენელ პირთათვის უნდა ყოფილიყო უზუალური.

თუ მოვალის სახელი -ია-ზე ბოლოვდება, ემფატიკური ხმოვანი არ ერთვის მიცემითი ბრუნვის ნიშანს: **მართებს ბარაბაძეს ბიბიას; მართებს მუშიას ფიცხელაურს; მართებს ყატიას ღუძაძეს;** ამ ფაქტის ახსნა ძნელია, თუ არ დავუშვებთ, რომ ის შედგენილია სხვა პირის მიერ, ვისთვისაც უზუალური არ იყო ემფატიკური ა ხმოვანი. ასეთივე ვითარება არ არის დავთარში ცალკე მდგომი, კუთვნილების აღმნიშვნელი რთული სუფიქსის **სეულ-**ის შემთხვევაში: **მართებს მამისას სეულსა.** რთული სუფიქსი **სეული** აღმოსავლურ სამეტყველო კოდებს ან სალიტერატურო ენის ნორმას მიჰყვება: დიალექტური იქნებოდა **სოული**.

დასკვნები

1. მოვალე გლახთა მოსაკრებლების დავთარში მოცემულია ძველი და ახალი ქართულის, საეკლესიო და საერო სტილის კუთვნილი სახელური და ზმნური შესიტყვებები, უმეტესად ორწევრიანი, მაგრამ არის სამწევრიანი და ოთხწევრიანი სიტყვათშეხამებანი და შესიტყვებებიც. წარმოდგენილია სამწიგნობრო და დიალექტური ნარევი სიტყვათშეხამებები, შესიტყვებები და კონსტრუქციები, მრავლად გვხვდება ფსევდოსამწიგნობრო მიკროკოდები.

2. სახელურ შესიტყვებაში გავრცელებულია ემფატიკური ხმოვანი, რის გამოც დავთარს შეიძლება „ანმეტი დავთარი“ ვუწოდოთ. ამ მხრივ დავთარი ახლოს დგას დაახლოებით იმავე პერიოდის საერო ძეგლებთან და დიალექტებთან.

3. თანამედროვე ქვემოიმერულ და, საერთოდ, დასავლურ დიალექტურ კოდებში ამჟამად ემფატიკური ხმოვანი აღმოსავლურ სამეტყველო კოდად აღიქმება, მაგრამ იგი დასავლურ დიალექტებში გავრცელებული იყო დავთრის შედგენის პერიოდში.

4. სახელურ შესიტყვებაში უმეტესად მოცემულია სახელისა და სახელის (სახელისა და გვარის, გვარისა და სახელის) სრული შეთანხმება, შენარჩუნებულია მიცემითი ბრუნვის ნიშანი, ამის გამო დავთარს შეიძლება „სანმეტი დავთარი“ ვუწოდოთ. ეს მოვლენა არ გვხვდება თანამედროვე დიალექტურ კოდებში, უფრო პირიქით, მასობრივად იკარგება მიცემითი ბრუნვის და ნათესაობითი ბრუნვის -ს.

5. იოტი ნიშანიც შესიტყვებებში ჭარბადაა გამოყენებული, ძალზე ხშირად უადგილოდაც. ამდენად მას „იოტი-მეტობაც“ ახასიათებს.

6. დავთარში სახელურ შესიტყვებებში ნორმათა სიჭრელეა, გვხვდება ძველი ქართულის, გარდამავალი ხანისა და ახალი ქართულის ნორმები. ასევეა ზმნურ შესიტყვებებშიც. გვხვდება როგორც პოსტპოზიციური, ისე პრეპოზიციური წყობა.

7. ზმნურ შესიტყვებაში მართებს ზმნა გვიანდელია, ის პირველ სერიაშივე ინვერსიულია და დგას მაქვს ტიპის ზმნებში, ეს ზმნა ძველ ქართულში არ იყო.

8. დავთარში გვხვდება ნარევი მასალა მორფოლოგიის დონეზეც: ერთმანეთს ერევა ქვემოიმერული, რაჭული სუფიქსები, ხოლო სუფიქსი **სეული**, რომელიც რთული აგებულებისაა და ცალკე მდგომი, გასუბსტანტივებული, ფსევდოსალიტერატურო კოდს განეკუთვნება.

9. დავთარი ასახავს სამწიგნობრო ენის საერო და სასულიერო ვარიანტთა გამოყენების მდგომარეობას დაბალ სასულიერო ფენაში თითქმის ერთი საუკუნის

განმავლობაში, წარმოგვიდგენს სამწიგნობრო, ფსევდოსამწიგნობრო და დიალექტურ ნარევ სამეტყველო კოდებს.

გამოყენებული ლიტერატურის სია

აფხ. საკათ. დავთ., 1914 – აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხთა დიდი დავთარი, გამოსცა ს. კაკაბაძემ, სტამბა ს. ლოსაბერიძისა, ტფილისი.

ბენდელიანი 1996 – ც. ბენდელიანი, -ხე სუფიქსი ქვემოიმერულ დიალექტში, „ქართველური მეკვიდრეობა“, I, გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ქუთაისი.

ბენდელიანი 2003 – ც. ბენდელიანი, „ახალი სასწაულნი მთავარმოწამისა გიორგისნი“ და „ამირანდარეჯანისანი“ ქართული სამწიგნობრო ენის პერიოდიზაციის თვალსაზრისით, „ქართველური მეკვიდრეობა“, VII, გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ქუთაისი.

ბენდელიანი, ნაკანი 1999 – ც. ბენდელიანი, ნ. ნაკანი, სამეტყველო კოდების შერევისათვის ქვემო იმერეთში მცხოვრებ სვანთა მეტყველებაში: „ქართველური მეკვიდრეობა“, III, გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ქუთაისი.

დავითიანი 1973 – ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

ნოზაძე 1990 – ლ. ნოზაძე, ემფატიკური ი ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXIX, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ორბელიანი 1965: ს.-ს. ორბელიანი, თხზულებები, ტ. IV_I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ორბელიანი 1966: ს.-ს. ორბელიანი, თხზულებები, ტ. IV_{II}, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

სარჯველაძე 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

საღინაძე 2017 – რ. საღინაძე, იმერეთის ლაპიდარულ წარწერათა ენა (IX-XII), „ქართველური მეკვიდრეობა“, XXI, გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ქუთაისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ჭინჭარაული 1984 – ა. ჭინჭარაული, ეტიმოლოგიური ეტიუდები (ეული): „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი მეექვსე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ჭუმბურიძე 1987 – გრძელი ხმოვნების საკითხისათვის ქართველურ ენებში, აკაკი შანიძე-100, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ხონის საყდრ. გამოს. დავთ., 1913 – ხონის საყდრის გამოსავალი დავთარი 1600 წლის ახლოს დროისა, გამოსცა ს. კაკაბაძემ, სტამბა ს. ლოსაბერიძისა, ტფილისი.

აბსტრაქტი

„აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი დავთარი“ იწერებოდა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში. მასში წარმოდგენილია XVI-XVII საუკუნეთა სამეტყველო ენა, რომელიც გამოიყენებოდა დაბალ სასულიერო პირთა მიერ, თუმცა მინაწერები ეკუთვნით აფხაზეთის კათალიკოსებსაც და მეფეთმეფე ბაგრატსაც. ამ მინაწერებს სხვა სტილი აქვთ.

მოვალე გლახთა მოსაკრებლების დავთარში მოცემულია ძველი და XVI-XVII საუკუნეთა ქართულის, საეკლესიო და საერო სტილის კუთვნილი სახელური და ზმნური შესიტყვებები, უმეტესად ორწევრიანი, სამწევრიანი და ზოგჯერ ოთხწევრიანი შესიტყვებებიც; წარმოდგენილია სამწიგნობრო და დიალექტური ნარევი სიტყვათმეხამეებები, შესიტყვებები და კონსტრუქციები, მრავლად გვხვდება ფსევდოსამწიგნობრო მიკროკოდები.

სახელურ შესიტყვებაში ხშირად გამოყენებული ემფატიკური ხმოვნის გამო დავთარს შეიძლება „ანმეტი დავთარი“ ვუწოდოთ. ამ მხრივ დავთარი ახლოს დგას დაახლოებით იმავე პერიოდის საერო ძეგლებთან. თანამედროვე ქვემოიმერულ და საერთოდ დასავლურ დიალექტურ კოდებში ემფატიკური ხმოვანი აღმოსავლურ სამეტყველო კოდად აღიქმება. სახელურ შესიტყვებაში უმეტესად მოცემულია სახელისა და სახელის (სახელისა და გვარის, გვარისა და სახელის) სრული შეთანხმება, უმეტესწილად შენარჩუნებულია მიცემითი ბრუნვის ნიშანი, ამის გამო დავთარს შეიძლება „სანმეტი დავთარი“ ვუწოდოთ. გვხვდება როგორც პოსტპოზიციური, ისე პრეპოზიციური წყობა. დავთარს ახასიათებს „იოტი-მეტობაც“.

დავთარში გამოყენებული მართებს ზმნა გვიანდელია, წარმოქმნილი ფორმაა, იგი პირველ სერიაშივე ინვერსიულია და დგას მაქვს ტიპის ზმნებში. დავთარში გვხვდება ნარევი მასალა მორფოლოგიის დონეზეც: ერთმანეთს ერევა ქვემოიმერული, რაჭული სუფიქსები, ხოლო ცალკე მდგომი სეული გასუბსტანტივებულია.

დავთარი ასახავს სამწიგნობრო ენის საერო და სასულიერო ვარიანტთა გამოყენების მდგომარეობას დაბალ სასულიერო ფენაში თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში.